ირმა გოგოლიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო წესრიგი და ჩინეთი

თანამედროვე პერიოდის უმთავრესი გამოწვევა წესრიგის[1] დამკვიდრებაა მსოფლიოში, რომლის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული ისტორიული წარსულის, განსხვავებული ტრადიციების მქონეა და ძალადობრივი კონფლიქტები, იდეოლოგიური ექსტრემიზმი განსაზღვრავს პოლიტიკურ რეალობას. XX საუკუნის დასასრულს, ცივი ომის დასრულებით და მისი თანმდევი პოლიტიკურ- იდეოლოგიური ცვლილებებით, გამძაფრდა მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფოთა წინააღმდეგობები და ინტერესთა კონფლიქტები. ცივი ომის დასრულებამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა წარმოშვა: გლობალიზაცია და რისკის შემცველი სტრატეგიული მეტოქეობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის [1, 583]. დღეისათვის აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ევროპის სახელმწიფოები, ირანი და სხვა ქვეყნები ცდილობენ რეგიონებში ძალაუფლების მოპოვებას. ფაქტობრივად, მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირების პროცესშია. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გაანალიზოს ჩინეთის როლი ფორმირებად საერთაშორისო წესრიგში. თემის აქტუალურობას განაპირობებს პოლიტიკური რეალობა: ახალ გეოპოლიტიკურ ტრანზიციაში არსებულ მსოფლიოში გავლენებისა და ძალაუფლებისათვის

1. ცნება „მსოფლიო წესრიგი“ ასახავს კონცეფციას, რომელიც რომელიმე რეგიონში (ან ცივილიზაციაში) არსებული სამართლიანი წესებისა და ძალაუფლების განაწილების თვალსაზრისით მიიჩნევა მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. „საერთაშორისო წესრიგი“ გულისხმობს ამ კონცეფციების პრაქტიკულ გამოყენებას მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში, ძალთა გლობალურ ბალანსზე გავლენისათვის. „რეგიონული წესრიგი“ ეყრდნობა ამავე პრინციპებს, მხოლოდ შეზღუდულია მისი გავლენის სფერო [დაწვრ. იხ. 1, 21].

ბრძოლა კვლავ საერთაშორისო ასპარეზის ძირითადი მახასიათებელია და საერთაშორისო წესრიგს კვლავ ძალის კონფიგურაცია განსაზღვრავს.

მართებულად შენიშნავს ჰენრი კისინჯერი: „ჭეშმარიტად გლობალური „მსოფლიო წესრიგი" დედამიწაზე არასდროს არსებულა. რაც წესრიგად მიიჩნევა, თითქმის ოთხი საუკუნის წინათ შეიქმნა დასავლეთ ევროპაში, ვესტფალიის – სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც არათუ მთელ კონტინენტთა თუ ცივილიზაციათა უმეტესობის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, არამედ მათ არც კი იცოდნენ მის შესახებ" [2,11]. მსოფლიო წესრიგის იდეა იმ გეოგრაფიულ სივრცეს გულისხმობდა, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეებისათვის იყო ცნობილი, მსგავსი მიდგომა მეორდებოდა სხვა რეგიონებშიც. ერთი გლობალური სისტემის შექმნისა და განვითარების შესაძლებლობას არც იმ პერიოდის ტექნოლოგიები იძლეოდა და არც შედარების მეთოდი რეგიონების ძალაუფლების ხარისხის შესაფასებლად. „თითოეული წესრიგი თავს მიიჩნევდა სამაგალითოდ კაცობრიობის ლეგიტიმური მოწყობისათვის და უშუალო გარემოცვაზე ძალაუფლების მოპოვებასთან ერთად სამყაროს მოწესრიგებასაც ცდილობდა" [2,11]. ვესტფალიის ზავის მომლაპარაკებლებს არ უცდიათ რუსეთი ჩაერთოთ მოლაპარაკებებში, რომელიც საკუთარი შიდა წესრიგის ახლებურად განმტკიცებას ცდილობდა; ევრაზიის კონტინენტის მეორე ბოლოში ჩინეთი წარმოადგენდა საკუთარი იერარქიული და თეორიულად უნივერსალური წესრიგის კონცეფციის ცენტრს; ევროპასა და ჩინეთს შორის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ისლამური მსოფლიო წესრიგის განსხვავებული კონცეფცია არსებობდა; ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს განსხვავებული მსოფლიო წესრიგის საფუძვლების შემუშავება დაიწყო. ამ კონცეფციებიდან მხოლოდ ვესტფალიის მშვიდობის პრინციპებია იმის ერთადერთი აღიარებული საფუძველი, რაც მსოფლიო წესრიგის სახით არსებობს. ვესტფალიის ხელშეკრულებით ევროპაში დამყარებულმა სამართლებრივ-პოლიტიკურმა წესრიგმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ფორმირებას.

დამკვიდრდა ძალთა ბალანსის პრინციპი: რომელიმე ქვეყანა (ან ქვეყნების გაერთიანება) საერთაშორისო ურთიერთობებში დომინანტი ძალა არ გამხდარიყო. ვესტფალიის გეოპოლიტიკური ეპოქა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ძალთა ბალანსი 150 წლის განმავლობაში შენარჩუნდა [3, 162]. ნაპოლეონის ომების შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მომხდარი ცვლილებები ვენის კონგრესზე (1814-1815 წწ.) დაფიქსირდა. შემდგომ ვერსალის (პარიზის) ხელშეკრულებაში აისახა პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული გეოპოლიტიკური ცვლილებები და მსოფლიო ისტორიაში „ვენის გეოპოლიტიკური ეპოქა" ჩანაცვლდა „ვერსალის გეოპოლიტიკური ეპოქით". 1945 წლის პოტსდამის კონფერენციით დაიწყო „პოტსდამის გეოპოლიტიკური ეპოქა". მალევე ევროპა, შემდეგ მსოფლიო ორ დაპირისპირებულ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ნაწილად გაიყო. ნატო-სა და „ვარშავის პაქტის" შექმნით ჩამოყალიბდა ორპოლარული მსოფლიო წესრიგი [3, 175] ევროპაზე მორგებული სისტემა ჩანაცვლდა ბიპოლარული სისტემით, სადაც მსოფლიო პოლიტიკა ორ მეტოქე ზესახელმწიფოს წინააღმდეგობების ირგვლივ ტრიალებდა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბიპოლარული სისტემაც ისტორიის ნაწილი გახდა. კომუნიზმის კოლაფსმა და საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაციამ, გლობალიზაციის დინამიკამ, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ანტაგონიზმს მოჰყვა, პოლიტიკური ძვრები გამოიწვია საზღვრებისა და რეჟიმების ცვლილებებით. გარდამტეხ ეპოქას ახასიათებდა არაპროგნოზირებადი მოვლენები: მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების გაჩენა, ეთნოკონფლიქტების ესკალაცია, გლობალური ურთიერთდამოკიდებულობის დონის გაზრდის ფონზე სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება, საერთაშორისო ტერორიზმის მასშტაბური ხასიათი, საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის დასუსტება [4, 89]. ამჟამად მსოფლიო გეოპოლიტიკურ ტრანზიციაშია, ყველა სხვა სისტემისაგან განსხვავებით იალტა-პოტსდამის სისტემა (საბჭოთა კავშირის დაშლით ცივი ომი დამ-

თავრდა და სისტემამ არსებობა შეწყვიტა) ომის შედეგად არ დამთავრებულა და არც სამშვიდობო ხელშეკრულებას განუსაზღვრავს ძალთა ახალი წონასწორობა. ამიტომ ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. მართებულად შენიშნავს ჰენრი კისინჯერი: „შეძლებენ განსხვავებული კულტურის, ისტორიული გამოცდილებისა და წესრიგის შესახებ მემკვიდრეობით მიღებული შეხედულებების რეგიონები რომელიმე საერთო სისტემის ლეგიტიმურობის დაცვას?“ [2, 20].

საერთაშორისო პოლიტიკა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, კულტურულ არაერთგვაროვნებას ასახავს. სახელმწიფოებს არ აქვთ ანალოგიური რეჟიმები და მათი მთავრობები არ ეყრდნობიან სამართლის, მორალისა და ისტორიის მნიშვნელობის ერთნაირ ხედვას. ცივი ომის დასრულებით განახლდა საერთაშორისო კონკურენცია, იდეოლოგიური კონვერგენცია ჩაანაცვლა იდეოლოგიურმა დივერგენციამ [5, 601]. გლობალურ ასპარეზზე წონასწორობის დამყარების მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა. ერთპოლუსიანი მსოფლიოს წარმოქნისთანავე გაჩნდა ვარაუდი, რომ ერთპოლუსიანობას ჩაანაცვლებდა მრავალპოლუსიანი მსოფლიო, სადაც აშშ გაბატონებული ძალა აღარ იქნებოდა. თუ დღეისათვის დაბალანსება მაინც მიმდინარეობს, ამის მიზეზი ამერიკულ ზესახელმწიფოსთან ერთად არის ორი დიდი სახელმწიფო: ჩინეთი და რუსეთი. მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეგუება ამერიკის გეოპოლიტიკურ ჰეგემონიას უფრო საშიში მტრებისაგან დაცვისათვის. რუსეთსაც და ჩინეთსაც აერთიანებს ამერიკული ჰეგემონიის შეზღუდვის სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მეტოქეები არიან და ჩინეთის აღმავლობა ორთავეს შეშფოთებას იწვევს [5, 602].

დღევანდელ მსოფლიოში ამერიკისა და ჩინეთის ურთიერთობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ორმხრივ კავშირს, მათი ქცევა განაპირობებს დანარჩენი მსოფლიოს ბედსაც. ჯერ კიდევ, 1971 წლის ივლისში კანზას-სიტიში ამერიკის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მიერ წარმოთქმული სიტყვა ადასტურებს, რომ ჩინეთს შეეძლო მომავალში ძლიერი ზეგავლენა მოეხდინა საერთა-

შორისო სისტემაზე: „როცა ეკონომიკური ცნებებით ვაზროვნებთ და ეკონომიკურ პოტენციალს ვაფასებთ, სულ ცოტა, ეკონომიკურად 5 ზემძლავრი პოლიტიკური სივრცე უნდა დავასახელოთ: შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა, საბჭოთა კავშირი, კონტინენტური ჩინეთი და იაპონია. კარჩაკეტილობის დაძლევის შემდეგ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის მქონე 800 მლნ ჩინელი უახლესი კომუნიკაციისა და თანამედროვე იდეების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პირობებში, რაც გარდაუვლად მოხდება ამ ქვეყნის იზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ, ჩინეთს უდიდესი პოტენციალის მქონე ეკონომიკურ ძალად აქცევს ჩვენს სამყაროში“ [1, 323-330]. ჰენრი კისინჯერის აზრით, ამერიკისათვის, ცივი ომის პერიოდში, ჩინეთთან ურთიერთობის დალაგება უმთავრესი ინტერესი იყო საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოდ, თანამედროვე პერიოდში კი ნებისმიერი სახის პოლიტიკა ჩინეთის მძლავრი ეკონომიკის კონტექსტის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს [1, 330].

მეტოქეობა ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის იყო, არის და იქნება. მთავარია, მხარეებმა ამ წინააღმდეგობების კონტროლი შეძლონ [6]. ცხადია, ეს ორი ქვეყანა უთუოდ მოახდენს გავლენას ერთმანეთზე. მაგრამ მოჰყვება ამ ურთიერთობებს მზარდი დაპირისპირება თუ მოხერხდება მტრული ქცევების გარდასახვა მშვიდობიან თანაარსებობად – ეს მომავლის საკითხია.

აზიაში მსოფლიო წესრიგის კონცეფციათა შორის ჩინეთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ვესტფალიური იდეებისაგან დაშორებული ვარიანტის მიმდევარია, რომელმაც განვითარების ურთულესი გზა გაიარა: ანტიკური კულტურიდან კლასიკური იმპერიის გავლით მივიდა კომუნისტურ რევოლუციამდე და მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის მქონე უდიდესი სახელმწიფო გახდა. ჩინეთის საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელ ეროვნულ ამბიციებს არბილებს კეთილგონიერება და მისწრაფება: რაც შეიძლება ნაკლებსახიფათოდ გამოიყურებოდეს დანარჩენი მსოფლიოს თვალში, ჩინელებისათვის ძლიერი მოტივაციაა იმ გაბატონებული

მდგომარეობის დაკავება, რომელიც, მათი აზრით, ტრადიციულად ჰქონდათ აღმოსავლეთ აზიაში [5, 604].

სინგაპურის პრემიერ-მინისტრი ლი კვან იუ თვლიდა, რომ ის ათასწლეულები, რომელთა განმავლობაში ჩინეთი თავს „გულის-გულ სამეფოდ" – სამყაროს ცენტრალურ ქვეყნად მიიჩნევდა და სხვებს მოხარკე ქვეყნებად განიხილავდა, აუცილებლად დატოვებდა კვალს ჩინურ აზროვნებაში და წაახალისებდა ჰეგემონიისაკენ მიმართულ ტენდენციებს [1, 575]. 1993 წელს ლი ამბობდა: „ჩინეთის მიერ მსოფლიო ბალანსის გადანაცვლების მასშტაბი იმოდენაა, რომ მსოფლიომ 30-40 წელიწადში ახლებური წონასწორობა უნდა იპოვოს" [1, 574]. 80-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთმა შეცვალა დამოკიდებულება საერთაშორისო წესრიგის მიმართ და გადავიდა თანამშრომლობაზე საერთაშორისო და რეგიონულ ინსტიტუტებთან. ჩინელებმა, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, როცა იძულებით დაითანხმეს საერთაშორისო წესრიგზე, თანამედროვე პერიოდში გამოიჩინეს გონივრული სიფრთხილე, დათანხმდნენ არსებულ წესებს, მაგრამ სამომავლოდ იმოქმედებენ შესაბამისად: საერთაშორისო წესრიგი განვითარდება და ჩინეთი ამ სიახლეთა ჩამოყალიბებაში წამყვან როლს შეასრულებს. ამ იმედით პეკინი მსოფლიო სცენაზე მნიშვნელოვნად გააქტიურდა [1, 300]. ჩინეთმა ყველა სტანდარტით დაიბრუნა სტატუსი რაც კი ჰქონია უდიდესი და ფართო გავლენის საუკუნეებში.

ამბიციურ სახელმწიფოებსა და სახელმწიფოებრიობის მაძიებლებს შორის წინააღმდეგობები სტატუსისა და გავლენების მოპოვებისათვის ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელი თვისებაა. მდგომარეობას ართულებს ამბიციურ სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო კონკურენციის განახლების პარალელურად, გლობალური იდეოლოგიური კონკურენციის არსებობა პოლიტიკურ ლიბერალიზმსა და ავტოკრატიას შორის. ლიბერალიზმის ნაცვლად, ჩინეთმა ავტოკრატიული მმართველობა განამტკიცა. ჩინეთი არ ეთანხმება თეზისს, რომლის თანახმადაც, ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება საერთაშორისო

წესრიგს აძლიერებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ყოვლისმომცველი სტრატეგია იყო ლიბერალური ძალების გავლენის შემცირება გლობალური წესრიგის ინსტიტუტებსა და მექანიზმებზე, ასევე სამხედრო ძალაუფლების ბალანსის შეცვლა [7].

არასრულყოფილი ლიბერალიზმი ავტოკრატიით ჩაანაცვლა რუსეთმაც. ამრიგად, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოებიდან ორს ავტოკრატიული მმართველობა ჰყავს. ორივე სახელმწიფოს აერთიანებს ამბიცია: მოსპონ ამერიკის დომინანტობა ფორმირებად მსოფლიო წესრიგში, ირანის დახმარებით უზრუნველყონ ამერიკის დომინანტობის შემცირება ევრაზიულ სივრცეში. ჩინეთისა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა დასავლეთიდან არსებული საფრთხის შედეგია. იგივე საფრთხით განპირობდა მათი ერთობლივი პოზიციაც ამერიკის მიერ დომინირებული უნიპოლარული მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ. ცხადია, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს დღეისათვის აქვს მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის პოტენციალი [8].

აქვე უნდა აღინიშნოს ამერიკის მცდელობა: ნატოს ყურადღება, ავტორიტარული, ნაციონალისტური და ისლამური ტერორისტული საფრთხეების განადგურების პარალელურად, გადაიტანოს ჩინეთიდან მომდინარე გლობალურ საფრთხეებზე, რადგანაც მას სერიოზულ სტრატეგიულ საფრთხედ აღიქვამს [9]. ამერიკა ასევე იზიარებს იაპონიის, სამხრეთ კორეის, ინდოეთის, ვიეტნამისა და ავსტრალიის ინტერესებსაც, რომელთათვისაც ჩინეთის რეგიონულ ჰეგემონად გადაქცევა მიუღებელია [10].

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს მრავალპოლუსიანი სამხედრო წესრიგის შექმნის საფრთხეც, რომელიც მრავალპოლუსიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგთან ერთად არასტაბილურობას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ჩინეთის მზარდი სამხედრო სიძლიერე და დახვეწილი დიპლომატია, რაც ათასწლოვანი თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებაზეა დაფუძნებული. მრავალპოლუსიანი სისტემები ერთპულუსიან და ორპოლუსიან სისტემებთან შედარებით არასტაბილურია, რადგან თითოეული სახელმწიფო

ძალაუფლების ბალანსის საკუთარ ინტერესებთან მორგებას ცდილობს [11].

ამგვარად, არსებული საერთაშორისო ვითარება ვერ უზრუნველყოფს მშვიდობას, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს შორის მასშტაბური კონფლიქტის თავიდან აცილების გარანტიაც არ არსებობს, ერთპოლუსიანობის ქოლგის ქვეშაც შესაძლოა, წარმოიშვას რეგიონული კონფლიქტები, რომლებშიც დიდი სახელმწიფოები არიან ჩაბმული [5, 606]. მართებულად შენიშნავენ რობერტ არტი და რობერტ ჯერვისი წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“: „მსოფლიო წესრიგის ბუნებას ისინი განსაზღვრავენ, ვისაც საამისოდ ძალა აქვს“ [5, 604]. წესრიგს მუდამ ესაჭიროება შეზღუდვა, სიძლიერესა და ლეგიტიმურობას შორის დახვეწილი ბალანსი. პარტნიორობის კონცეფციები უნდა გახდეს ძალთა თანამედროვე წონასწორობის ელემენტები. ძალთა ბალანსის შენარჩუნების სტრატეგიისა და პარტნიორული დიპლომატიის კომბინაცია, ცხადია, ყველა კონფლიქტს ვერ გადაჭრის, მაგრამ შეასუსტებს მათ მოქმედებასა და არეალს. დღეისათვის მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს ჩინეთი წარმოადგენს, XXI საუკუნის წესრიგში ჩინეთის როლი – იყოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო – ისტორიულად უპრეცენდენტოა. თანამედროვე ტექნოლოგიის შესაძლებლობები ზრდის ბირთვული ომის დამანგრეველ პოტენციალს, მაღალტექნოლოგიური იარაღის მრავალფეროვანი სახეობების შექმნით, ხელოვნური ინტელექტის სრულყოფით, ჩინეთი, რუსეთი და ამერიკა ორიენტირდნენ სამხედრო არსენალის მოდერნიზაციაზე. მუდმივი დიალოგის რეჟიმის უზრუნველყოფა, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, უკვე უზენაესი მოთხოვნა ხდება მყარი მსოფლიო წესრიგის მიღწევა-შენარჩუნების თვალსაზრისით [1, 331].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჰენრი კისინჯერი, ლიდერობა, თბილისი, 2025.
2. ჰენრი კისინჯერი, მსოფლიო წესრიგი, თბილისი, 2020.
3. გიორგი გოგსაძე, სივრცე და პოლიტიკა, თბილისი, 2022.
4. ირმა გოგოლიძე, წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში: ისტორია და თანამედროვეობა, სტუ, რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება", №2(41), თბილისი, 2023. https://doi.org/10.36073/2346-8300
5. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
6. დავით პიპინაშვილი, აშშ-ჩინეთის ცივი ომის კონტურები და საერთაშორისო წესრიგის განსხვავებული ხედვა https://di.gov.ge/publications/analytical-collection/ashsh-chineth-is-civi-omis-konturebi-da-saerthashoriso-tsesrigis-ganskhvavebu-li-khedva/ (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 23.10. 2025).
7. https://www.brookings.edu/articles/china-and-the-challenge-to-global-order/ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23.10.2025).
8. http://www.abc.net.au/news/2018-08-20/russia-and-china-bolster-ties-to-thwart-us-dominance/10134426 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23. 10. 2025).
9. https://foreignpolicy.com/2019/03/20/us-wants-nato-to-focus-on-china-threat-critical-infrastructure-political-military-huawei-transatlantic-tensions (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23. 10. 2025).
10. https://nationalinterest.org/blog/skeptics/conflict-china-not-inevitable-53897(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23. 10. 2025).
11. https://www.geocase.ge/ka/publications/1020/analitikuri-informacie-bi-chinetis-sagareo-politikaze (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23. 10. 2025).

Irma Gogolidze
Georgian Technical University, Associate Professor of the faculty of Law and International Relations

World order and China

Summary

The main challenge of the modern period is to establish order in the world, the different parts of which have different historical pasts, different traditions and values. The purpose of the presented paper is to analyze China's role in the shaping international order. Today, the US, China, Russia, European states, Iran and other countries are trying to gain power in the regions. In fact, the world is in the process of forming a new geopolitical order. Today, China is one of the main pillars of the world order.

Keywords: The international order, Power configuration, geopolitical interests.